2022 წლის

ინდივიდუალური

ფინანსური გაანგარიშება

შპს „ ჯორჯიან მედიქალ სერვის “

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
4. ძირითადი საშუალებები
5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
7. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
9. ამნაგები
10. მოგების გადასახადი
11. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/2022	31/12/2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1629428	645514
სულ გრძელვადიანი აქტივები	**1629428**	**645514**
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	33825	24047
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	446816	478 876
სასაქონლო მატერიალური მარაგები	1346369	1 321 092
სხვა მოკლევადიანი აქტივები	55092	31260
სულ მოკლევადიანი აქტივები	**1 882 102**	**1 855 275**
სულ აქტივები	**3 511 530**	**2 500 789**
კაპიტალი და ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	1381554	183 305
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**1 381 554**	**183 305**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35680	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**35680**	
სულ ვალდებულებები		
გაუნაწილებელი მოგება	2094296	2 317 484
სულ კაპიტალი	**2 094 296**	**2 317 484**
სულ კაპიტალი და ვალდებულება	**3 511 530**	**2 500 789**

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/2022	31/12/2021
შემოსავალი	1 999 709	2 764 129
გაყიდული საქონლის ღირებულება	(1 098 716)	(1 729 113)
საერთო შემოსავალი	**900 993**	**1 035 016**
ხელფასი	(812746)	(724 785)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(44114)	(44178)
საპროცენტო ხარჯი	(23729)	(19 438)
იჯარის ხარჯი		(3 200)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(217958)	(46507)
სულ ხარჯი	**(1 098547)**	**(838 108)**
საოპერაციო მოგება	(197 554)	196 908
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	2 317484	2 377 713
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(25634)	(257 137)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	2 094 296	2 317 484

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	24 047	22 823
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	9778	1 224
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	33 825	24 047

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან მედიქალ სერვისი“, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირი, 2007 წლის 27 თებერვალს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებულ/დარეგისტრირებული იქნა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ და მიენჭია გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 200223258 .

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნებული იქნა 2(ორ) ფიზიკური პირის (პარტნიორი) მიერ:

- ხათუნა რევაზიშვილი (პ/ნ 26001005697)- წილის 50%;
- დავით ჩიკაშუა (პ/ნ 01001006154) - წილის 50%;

საზოგადოების იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი, ლუბლიანას ქ. N 34

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსურიანგარისგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში ,,მსს ფასს“), რაც ასახავს საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების ,,მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების საღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საზოგადოება ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ასვე უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	25-50 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-15 წელი
კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი	5-10 წელი
ავეჯი	10-15 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხ-და. შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეზენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომელიც აისახება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადებია 3-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვეტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსაურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია შემცირებადი ნაშთის მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თავდაპირველ (ისტორიული) ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ.

შენობა და ნაგებობები ----------5%

სატრანსპორტო საშუალებები ----------20%

ავეჯი ოფისისთვის ----------20%

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ცვეთა	შემოსვლა /გასვლა	ნაშთი 31.12.2021	ცვეთა	შემოსვლა /გასვლა	ნაშთი 31.12.2020
1	შენობები	1589240	(34042)	1028128	595154	(31323.9)		626477.9
2	სატრანსპორტო საშუალებები	37176	(9319)		46595.2	(11648.8)		58244
3	ავეჯი და ინვენტარი	3012	(753)		3765.2	(1204.8)	1808	4216
	ჯამი	1629428	(44114)		645514.4	(44177.5)	1808	688937.9

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

დასახელება	**ნაშთი 31.12.2022**	**ნაშთი 31.12.2021**	**ნაშთი 31.12.2020**
საქონელი	**1 346 369**	**1321092**	**1410514**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

6. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

დასახელება	**ნაშთი 31.12.2022**	**ნაშთი 31.12.2021**	**ნაშთი 31.12.2020**
ფული სალაროში	2499	15292	14554
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	3847	6394	7446
ფული საბანკო ანგარიშზე (უცხოური ვალუტა)	28479	2361	823
სულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს	33825	24047	22823

7. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, ჯამურად 1381554 ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში სს საქართველოს ბანკისგან საქართველოსგან 2017 წელში გრძელვადიანი სესხების ანგარიშებზე არსებულ დავალიანება

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	**ნაშთი 31.12.2022**	**ნაშთი 31.12.2021**	**ნაშთი 31.12.2020**
სავაჭრო ვალდებულებები	35680	-	115696

11. ამონაგები

დასახელება	**31.12.2022 წელი**	**31.12.2021 წელი**
შემოსავლები რეალიზაციიდან	1 999 709	2 764 129

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ)

გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღებიანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

12. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით,საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

13. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

DAVID CHIKASHUA Digitally signed by DAVID CHIKASHUA
Date: 2023.09.29 11:56:23 +04'00'